



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 151  
2021 წლის 30 ნოემბერი  
ქ. თბილისი

**2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ**

“ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის და პირობების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-13 მუხლის, „2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 25 მარტის №27 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1282030, 30.11.2021) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2021 წლის 8 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
  - ა) ახალგაზრდა მეცნიერის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც ჩაირიცხება სტიპენდია;
  - ბ) მასპინძელი ორგანიზაციის ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი, არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის/შპს (უსდ) შემთხვევაში მიზნობრივი ანგარიშის

რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ მასპინძელ ორგანიზაციას არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება;

დ) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დაწყების წინ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2021 წლის 25 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

